ხელშეკრულება №2023-02/162
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2023 წლის24 თებერვალი ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ქეთევან ლაკირბაიას** სახით (შემდგომში: „შემსყიდველი“)
მისამართი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მეორე მხრივ (შპს) ჯორჯიან ექსპრესი, წარმოდგენილი მისი დირექტორის **პაატა სარიშვილი** სახით (შემდგომში: „მიმწოდებელი“)
მისამართი: თბილისი,წერეთლის 105
საიდენტიფიკაციო კოდი: 201954965
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE70BG0000000391050200

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტით, ვადასტურებთ რომ 2169 - Advanced genomic technology for the Caucasus region - გრანტი - საერთაშორისო/მიზნობრივი გრანტები - დავით თარხნიშვილი - ფოლკსვაგენის ფონდი - 16-12-2020 - 15-06-2023 *მიღებული შემოსავლების* გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საერთო პირობები**

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 **ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** – შემსყიდველ ორგანიზაციას და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.1.2 **ხელშეკრულების ღირებულება** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;
1.1.3 **შემსყიდველი** – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.1.4 **მიმწოდებელი** – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.1.5 **შესყიდვის ობიექტი** – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.1.6 **დღე, კვირა, თვე** – კალენდარულ დღე, კვირა, თვე თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1**ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - გზავნილის (WAYB|LL 1955376452. 1 ადგ, 10,4 კგ) დეკლარირების მომსახურება, რომლის რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ფასების ცხრილში *(დანართი № 1)*** რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად რაც თან ერთვის ამ ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი ***(CPV: 79100000 - იურიდიული მომსახურებები).***

3. **მხარეთა მოვალეობები**
3.1 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

3.1.1 გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
3.1.2 თუკი ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, გამოასწოროს ეს ნაკლი.

3.2 <u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>

3.2.1 მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის/საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

3.3.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
3.3.2 უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

3.4 <u>შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>

3.4.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1 ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია თანდართულ გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში (დანართი №1), რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **160** (ას სამოცი ლარი) ლარს.
4.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. **ანგარიშსწორების წესი**

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
5.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6. **მომსახურების გაწევის წესი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 **მომსახურების გაწევა ხდება 06-03-2023 ჩათვლით.**
6.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია **ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5.**
6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.
6.4 შესყიდვის ობიექტი/საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს **სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - შესყიდვების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, მალხაზ დაუთაშვილი**

7. **ხელშეკრულების მოქმედების ვადები**

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 29-12-2023 ჩათვლით.

8. **ხელშეკრულების ინსპექტირება**

8.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება **სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - შესყიდვების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, მალხაზ დაუთაშვილი**

9. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით;
ბ) მხარეთა შეთანხმებით;
გ) მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის

ოდენობით.

10.4 რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებას იტოვებს, მოით-

ხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, ან ჯეროვანი შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

13.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია, ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი შეთანხხმების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. დავების გადაჭრის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შემლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღეს და წელს.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს).

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ilia State University
Digitally signed by Ilia State University
Date: 2023.03.09 15:52:26 +04'00'

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მიმწოდებელი:
(შპს) ჯორჯიან ექსპრესი

GEORGIAN EXSPRESS LLC
Digitally signed by GEORGIAN EXSPRESS LLC
Date: 2023.03.10 15:05:26 +04'00'

პაატა სარიშვილი

გენერალური დირექტორი

წინამდებარე ხელშეკრულება მხარეების მიერ ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

დანართი №1

საბაჟო გაფორმების მომსახურების პირობები და წესები

1. ,,შემსრულებელი“ დამკვეთის მოთხოვნით, საკუთარი სახელითა და რესურსით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა საბაჟო რეჟიმში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტში, განახორციელებს ტვირთებისა და საფოსტო გზავნილების სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას, ხოლო საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციებისა და სხვა დამატებითი დოკუმენტაციით უზრუნველყოფას.
2. დამკვეთი ვალდებულია ,,შემსრულებელს“აუნაზღაუროს მე-2 მუხლში მითითებული მომსახურების საფასური წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.
3. საბაჟო გაფორმების მომსახურება განხორციელდება სამუშაო დღეების სამუშაო დროის განმავლობაში, თუ მხარეებს შორის არ არსებობს, დამატებით, სხვა შეთანხმება კონკრეტული საბაჟო გაფორმების საჭიროებიდან გამომდინარე.
4. დამკვეთი ვალდებულია ,,შემსრულებელს“ მიაწოდოს ტვირთებისა და საფოსტო გზავნილების საბაჟო გაფორმებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი საჭირო დოკუმენტაცია, როგორიც არის: ტვირთის/გზავნილის ინვოისი, დატვირთვის სპეციფიკაცია და სატრანსპორტო ზედდებული. საჭიროების შეთხვევაში, იმპორტის მოსაკრებლის შესაბამისი გადახდის დადასტურება და სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, რომელიც საჭირო იქნება ტვირთის/გზავნილის განბაჟებისათვის, მისი სპეციფიკაციიდან გამომდინარე.
6. დამკვეთის თანხმობით ,,შემსრულებელი“ უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი დამატებითი მომსახურება, როგორიც არის: ტვირთის/გზავნილის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ორმაგი დანიშნულების ნებართვების, ფიტო/ვეტ სერთიფიკატებისა და სხვა დოკუმენტაციის მოპოვება დამკვეთის სახელით. შემსრულებელი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურისგან, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ელექტრონული სახით, შემსრულებლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.
7. ,,შემსრულებლისათვის“ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის სისწორისა და შესაბამისობის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.
8. მომსახურების განხორციელების შეფერხების, შეუძლებლობის, ან კიდევ, ვადის გადაცილებისათვის ,,შემსრულებელს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ გამოვლინდება დამკვეთის საგადასახადო დავალიანების, არასწორი, ყალბი ან უზუსტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ან სხვა კანონდარღვევების ისეთი გარემოებები, რაც შეაფერხებს, ან შეუძლებელს გახდის საბაჟო გაფორმების პროცედურების გავლას.
9. დამკვეთის მიერ დოკუმენტაციის სრულად და უშეცდომოდ წარმოდგენის შემთხვევაში, ,,შემსრულებელი“ ვალდებულია 1 (ერთ) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ტვირთის/ გზავნილის საბაჟო გაფორმება.
10. ,,შემსრულებელი“ ვალდებულია დაიცვას დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კომერციული, საბანკო და სხვა კანონით დაცული კონფიდენციალურობა. დაუშვებელია, ასეთი სახის ინფორმაციის გადაცემა მესამე პირზე, გარდა საგადასახადო ორგანოებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11. ,,შემსრულებლის“ მიერ დამკვეთისთვის დასრულებული საბაჟო დოკუმენტაციის გადაცემით, დავალება ჩაითვლება უნაკლოდ შესრულებულად.

მომსახურების ტარიფები

2.1. გზავნილის შემთხვევაში ფორმა N4-ის (გამარტივებული დეკლარაციის) შესაბამისად:
2.1.1. **მოთხოვნის შემთხვევაში** ნულოვანი ღირებულების დეკლარაცია (ფორმა 4) - **40 (ორმოცი**) ლარი
2.1.2. გზავნილის ღირებულება >5000 (ხუთიათას) ლარამდე ფიზიკური პირისთვი - **40 (ორმოცი) ლარი**
2.1.3. გზავნილის ღირებულება >5000(ხუთიათას) ლარამდე იურიდიული პირისთვის - **50 (ორმოცდაათი) ლარი**
2.1.4. გზავნილის ღირებულება 5000< ხუთიათასს ლარზე მეტი და 10 000(ათიათას) ლარზე ნაკლები - **75 (სამოცდათხუტმე) ლარი**
2.1.5. გზავნიის ღიერბულება 10 000(ათიათას) ლარზე მეტი **- 100(ასი) ლარი**
2.1.6. საბროკერო მომსახურება რეჟიმულ ტვირთზე:
2.1.6.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - 65 (სამოცდახუთი) ლარი
2.1.6.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი[1] - 7 (შვიდი) ლარი
2.1.7. ექსპორტის დეკლარაცია 70 (სამოცდაათი) ლარი.
2.2. საჰაერო გადაზიდვის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის უზრუნველყოფა:
2.2.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი
2.2.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი[2] - 7 (შვიდი) ლარი
2.3. საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის უზრუნველყოფა:
2.3.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - 130 (ასოცდაათი) ლარი
2.3.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი[1] - 10 (ათი) ლარი
2.4. სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის უზრუნველყოფა:
2.4.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - 150 (ასორმოცდაათი) ლარი
2.4.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი1 - 10 (ათი) ლარი
2.5. საავტომობილო, გადაზიდვის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის უზრუნველყოფა:
2.5.1. პირველი საბაჟო კოდი/დეკლარაციის პირველი გვერდი - 120(ასოცი) ლარი
2.5.2. ყოველი მომდევნო/დამატებითი საბაჟო კოდი[1] – 10 (ათი) ლარი

2.6. საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ყოველი დამატებითი მომსახურება -30 (ოცდაათი) ლარი
2.7. დოკუმენტების რეგისტრაცია - 30(ოცდაათი) ლარი
გზავნილის შემთხვევაში ფორმა N4-ის (გამარტივებული დეკლარაციის) შესაბამისად:
3. საბაჟო გაფორმების დროს, წითელ დერეფანში მოხვედრილ ტვირთებზე, საბაჟო უწყების მიერ ინსპექტირების პროცესში შემსრულებლის მონაწილეობისას, საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებულ ტარიფებს დაემატება შემდეგი ტარიფი:
3.1. საჰაერო გადაზიდვის შემთხვევაში, სტანდარტული პროცედურის უზრუნველყოფისთვის- ყოველი ერთი სრული/არასრული სამუშაო დღე -**60 (სამოცი) ლარი;**
3.2. საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში, სტანდარტული პროცედურის უზრუნველყოფისთვის - ყოველი ერთი სრული/არასრული სამუშაო დღე - **60 (სამოცი) ლარი;**
3.2.1. საჰაერო, საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში, ყოველი არასტანდარტული პროცედურის უზრუნველყოფისთვის მომსახურების საფასური, შეთანხმებულ იქნება წინასწარ, მხარეთა შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღების პირობები და წესები
1. მხარეები გამოთქვამენ ნებას და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება N 2023 – 02/162 ყველა სახის შეტყობინება მიიღონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებულ შეტყობინებას გააჩნია იგივე იურიდიული ძალა რაც ოფიციალურ შეტყობინებას ან/და დოკუმენტს.
3. მხარეები გამოყოფენ და ნიშნავენ საკუთარ ორგანიზაციებში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შემდეგ საკონტაქტო პირებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებს.

შპს „ჯორჯიან ექსპრესი“ საკონტაქტო პირი: იურიდიულ საკითხებში თეა ზაქარეიშვილი კომერციულ საკითხებში გიორგი ზარქუა საბაჟო საკითხები თეონა კაჭარავა	**სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** საკონტაქტო პირი: მალხაზ დაუთაშვილი ელ. ფოსტა: mdautashvili@iliauni.edu.ge ტელ: +995 577423844

[1] საბაჟო დეკლარაციის ყოველ მომდევნო გვერდზე შესაძლებელის 3 (სამი) საბაჟო კოდის განთავსება
[2] საბაჟო დეკლარაციის ყოველ მომდევნო გვერდზე შესაძლებელია 3 (სამი) საბაჟო კოდის განთავსება

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	განზომილების ერთეული	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)

1	**დეკლარირების მომსახურება** გზავნილი (WAYB|LL 1955376452. 1 ადგ, 10,4 კგ) ნიმაგენისგან შესყიდული საქონლის განბაჟება-დეკლარირება	**მომსახურება**	79100000 - იურიდიული მომსახურებები	1	160.00	160.00
	სულ:					**160.00**

შემსყიდველი:
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიმწოდებელი:
(შპს) ჯორჯიან ექსპრესი

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

პაატა სარიშვილი

გენერალური დირექტორი

GEORGIAN EXSPRESS LLC

Digitally signed by GEORGIAN EXSPRESS LLC
Date: 2023.03.10 15:06:04 +04'00'